ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისთვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 20 1883—1904 30 ოქტომბერი

1883—1904 წ.

რედაქციისაგან.

ამ თვის პირველს შესრულდა 21 წელიწადი ჩვენ ორგანოთა „მწყემსი"-ს და 20 წელიწადი რუსული გამოცემის „Пастырь"-ის დაარსებიდან. ჩვენ ორგანოთა პროგრამის უმთავრესი მიზანი იყო და არის: შეგვეტყობინებია ყველასთვის: რანი ვიყავით, რანი ვართ და რა მოგველის. ამასთან შეძლებისა და გვარად ვცდილობდით მწყსობა გაგვეწია პირმეტყველ სამწყსოთათვის. რამდენად შევასრულეთ ჩვენი მიზანი და რამდენად აღვასრულეთ ყოველივე რასაც ვპირდებოდით მკითხველ საზოგადოებას ამაზე ჩვენ დღეს არაფერს ვეტყვით; ამის გადაწყვეტა მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვინდვია. ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას იმაზე, თუ როგორ დროს შეგვხვდა ჩვენ სამსახური საზოგადოებისა, რამდენად გვიწყობდა და გვიწყობს ხელს დროთა ვითარება და ჩვენი საზოგადოება?

რომ შევადაროთ ჩვენი დრო სხვა ძველ დროს ცხადათ დავინახავთ, რომ ჩვენი დრო სხვა დროს ძლიერ დაშორებულია და უკან ჩამორჩენილი! ჩვენს დროში სამსახური მეტათ ძნელი და მეტათ გულგასატეხია, ვინემ სხვა დროებში. ესაა უმთავრესი მიზეზი, რომ საზოგადოდ ბეჭედითი სიტყვას ჩვენში ისეთი თვალსაჩინო ელფერი არ აქვს როგორც სხვა ხალხში და ქვეყნებში. სხვა-და სხვა სამწუხარო მოვლენათა ტ გარემოებათა გამო ჩვენი ხალხი დაიქსაქსა და ერთმანეთს ვედარ სცნობს. ზოგს სასიხარულოდ მიაჩნია მეზობლის დაღუპვა, ზოგი ამაყობს უზნეო და ურწმუნო პირთა ქომაგობით და მფარველობით,

ზოგი კი ლუკმისათვის მზად არის გაყიდოს თავისი სვინდისი, სული და ყველა მოძმენი. ზოგი უარს ყოფს ეროვნებას და ზოგი სარწმუნოებასაც თავის გამოჩენისათვის. დიაღ, აუტანელი დროა სწორეთ ჩვენი დრო, უმეტესად მით, რომ არ არის ძმობა, ერთობა და შეგნება თავის თავისა. ერთი მეორეს ვეჩხუბებით, ერთი მეორეს სამარეს უთხრით და ვემტერებით, ის კი გვავიწყდება ყველას, რომ საზოგადო ჩვენი მტერი ამით სარგებლობს და უფრო ადვილად გვაოხრებს. საკმაოა ! ვენთვის ჩვენმა მტერმა გაგვიღიმოს, ორიოდე საპირფერო სიტყვა გვითხრას, რომ სრულებით მივენდოთ მათ, ჩვენი გულის პასუხი გადაუშალოთ და ჩვენ კეთილის მყოფელად ვიგულოთ. ბოლოს როცა მოტყუებული ვრჩებით, გავიძახით: არ გვეგონაო... ვერ შევიგნეთ, რომ სომეხი, თათარი, ურია, და სხვ არ გაგვიტანენ და ძმათ არ მიგვიღებენ... ამისთანა უკულმართ დროში სამსახური საზოგადოებისა, ყველანი დამეთანხმებიან, რომ მეტის მეტად ძნელია...

საზოგადოების დახმარებაზედაც ბევრი არა შეიძლება რა სთქვას კაცმა. ჩვენს საზოგადოების, და სამღვდელოების უმეტეს ნაწილს დღეს სძინავს და გამოიღვიძებს მხოლოდ კუპის საზრდოსათვის. გონებითი საზრდოს უმექონლობა არ შეაწუხებს. ამის შედეგია ჩვენი დაქვეითება, დაძაბუნება და ზოგიერთ შემთხვევაში, სრული გათახსირება... ! ვენ საზოგადოებას ! ბ სამღვდელოებას ჭგონია, რომ ისევ ის დროა, როცა 1820—1835 წლებში ბავშვებს ითხოვდენ სასწავლებლებში, მაგრამ მშობლები უარს უცხადებდენ შვილების სასწავლებელში გაგზავნაზე. ჩვენს სამღვდელოებას და საზოგადოებას ჭგონია, რომ მათზე სხვები იზრუნებენ და რაც საჭიროა მათთვის მათ უთხოვნელათაც გაუკეთებენ!.. ვერ შეიგნეს და ვერ გაიგეს კიდევ, რომ არავინ მათზე არ იზრუნებს და არც არავინ თავს შეიწუხებს თუ თვითონ არ გაისარჯენ და თვითონ არ ეცადენ თავიანთ წინსვლისთვის და თვითონ არ ეცადენ გონებით განვითარებისათვის. ვერ მიხვდენ კიდევ, რომ გონებით განუვითარებელი კაცი უკან არის ჩამორჩენილი და უკან ჩამორჩენილი ყველასგან დავიწყებულია.

როცა ჩვენს უცოდინარობაზე, ჩვენს დაქვეითებაზე და ჩვენს დაკნინებაზე დაიწყებენ ბაას და მსჯელობას, ჩვენ დიდის კვეხნით და ამაყოფით მაშინვე მიუთითებთ ჩვენ შესანიშნავ ძველი ეკკლესიების ნანგრევებზე და ძველი დროის გმირობასა და ქველ-მოქმედებაზე. გვავიწყდება ბატების ისტორია, რომელთაც თავი მოქონდათ, და ამაყობდენ რომის დახსნით. გვავიწყდება რომ ბატებმა, ვერ იხსნეს კაცთაგან თავი შეწვისა და შეჭმისაგან თუმცა მათ წინაპრებს დიდი სამსახური მიუძღოდა რომის ხსნის გამო!..

მაგრამ შორს ჩვენგან უიმედობავ! არა მიმხდველი სავალალო და სამწუხარო დროების ვითარებათა და გარემოებათა, დაიმედებული ჩვენთანამოძმეთა ჩვეულებრივ ზნეობრივ თანაგრძნობაზე ვაცხადებთ ხელის მოწერას ჩვენ გამოცემებზე მომავალი მე-22 წლისათვის. სრული იმედი გვაქვს სამღვდელოება და საზოგადოება ხელს შეგვიწყობს ხელის მოწერით და გაგვიადვილებს ჟურნალების გამოცემას იმ საძნელო პირობებში, რომელშიაც არიან საზოგადოდ ყველა ჩვენი ქართული ჟურნალები და განსაკუთრებით ჩვენი ორგანო. უნდა იცოდეს ყველა ჩვენი ჟურნალის ხელის მომწერმან, რომ იგი მცირე ჟურნალის საფასით თვითონაც კმაყოფილდება და ხელმოსაწერი ფულით ჩვენს სამძიმო საქმეშიაც დიდათ გვეხმარება. ვსთხოვ ყველა ხელის მომწერთ მიიღონ შრომა და თავიანთ სამრევლოში და ნაცნობებში გაავრცელონ ერთად ერთი არსებული დედაენაზე საერო და სასულიერო ჩვენი ორგანო „მწყემსი“.

რედ. გამოც. დეკ. დ. დამბაშიძე.

სამრევლო ეკკლესიების შტატების შემოკლების შესახებ.

დიდი ხანია რაც მართებლობას და საზოგადოებას ყურადღება აქვს მიქცეული სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე. ბევრი სხვა-დასხვა ნაირი საშუალებანი და ზომები იყო ნაჩვენები და ნახმარები სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ყოველი ზომები და საშუალებანი ცხოვრებაში საქმით ძლიერ ძნელი ასასრულებელი შეიქნა. ბოლოს ერთი, ვითომ, უებარი საშუალება გამონახეს. ეს იყო მრევლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიების შტატების შემოკლება. გადასწყვიტეს: ორი-სამი შტატი ერთ შტატათ გაეხადათ. სამი, ან ორი კრებულის შემოსავალი მრევლთაგან, ზოგიერთების ფიქრით, ერთ კრებულს კარგად შეინახავსო და მრევლიც და მღვდელნიც ყმაყოფილნი იქმნებიანო. სიტყვა საქმედ იქცა და ათას რვა ასს სამოცდა რვიდან უწმიდესი სინოდისაგან შემოკლდა ეკლესიების შტატები. მრავალ რიცხოვან მრევლში თანაშემწენი დაუნიშნეს მღვდლებს. ამ განკარგულების გამო ბევრი სამღვდელოება დარჩა შტატგარეთად, უმრევლოთ სანამ მღვდლების ადგილები დაიცლებოდა. ბევრი შეგნებული პირები ამტკიცებდენ, რომ ამ ზომას ცუდი შედეგი ექნებაო, მაგრამ არავინ გაუგონა მათ. ზოგს წერის ნებასაც არ აძლევდენ, რადგან დაკანონებული ტ მთავრობისაგან მოწონებულ განკარგულებაზე სჯა-ბაასი ფიცხლად აღკრძალულია. არავის არა აქვს ნება კრინტი დაძრას, არა თუ მაღალი, არამედ მდაბალი მთავრობის მოხელის განკარგულების შესახებაც. გაიარა კარგა დიდხანმა დრომ. რუსეთში ისედაც მღვდელი ძლიერ დაშორებული იყო მრევლთაგან და მრევლის შტატების შემოკლების შემდეგ იგინი უფრო მეტად დაშორდენ მრევლს. ამ დაშორებამ მცირეს ხანში ცუდი გავლენა იქონია სამწყსოზე. ამ დაშორებით ისარგებლეს ათასნაირმა მწვალებლებმა და თავიანთ მოაზრეთა რიცხვი გაამრავლეს. ბოლო დროს კი ცხადად შენიშნეს შეცდომა.

იმპერატორის ალექსანდრე მესამის გვირგვინოსნობის დროს მოსკოვში, მოსკოვის საზოგადოებამ სთხოვა იმპრატორ ალექსანდრე მესამეს, რომ იგი სწირავს ასი ათას მანეთს, ოღონდ ხელახლა გახსნან მოსკოვის გუბერნიაში გაუქმებული შტატები და საკუთარი მღვდლები დაენიშნათ ამ ეკლესიებში. მართებლობამ შეიწყნარა საზოგადოების თხოვნა და გაუქმებული შტატები ისევ გახსნა.

რუსეთში გამოცდილებით დარწმუნდენ, რომ სამრევლო ეკლესიების შტატების შემოკლება ძვირად დაუჯდა ხალხს. დღეს არავინ არ ურჩევს მრევლს ეკლესიების შტატების შემოკლებას თუ გული შესტკივა მათზე და მაგნებლად მიაჩნიათ ეკლესიების უმღვდელოდ დატოვება...

თუ ასე ფიქრობდენ იქ სადაც მრევლის რიცხვი ბევრად მეტია და ზოგიერთი ზედ მიწერილი ეკლესიები ოთხ-ხუთი ვერსით დაშორებულნი იყვნენ თავიანთ შტატის ეკლესიისაგან რაღას იტყვიან ჩვენში, სადაც შტატის ეკლესიები ძლიერ ახლოს არიან ერთი მეორისაგან!.. წარსულ 1903 წელში როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, ვბეჭდავდით მათი მეუფების ყ-დ სამღვდელოს მოგზაურობას იმერეთის ეპარქიაში. სხვათა შორის ამ მოგზაურობაში მოხსენებული იყო, თუ რამდენი ვერსით იყო დაშორებული ერთი შტატის ეკლესია მეორესაგან. ზოგიერთი ჩვენი ჟურნალის მკითხველები რუსეთში გაოცდენ ჩვენი შტატის ეკლესიების სიახლოვეზე. იმათ შესაძლოთ არ მიაჩნიათ, რომ ერთი შტატის ეკლესია მეორესაგან ექვსი და ათი ვერსტით დაშორებულნი არ იყვნენ. მაგრამ ჩვენი კუთხე, საქართველო სამღვდელოების და სამრევლოების წეს-წყობილებით ძლიერ განირჩევა სხვა ქრისტიანე ხალხთაგან. რუსეთთან შეერთებამდისინ საქართველოში მართლა ბევრი ეპისკოპოსები და მღვდლები ყოფილნ. ჯერეთ მარტო დასავლეთ საქართველოში ოცდა ხუთამდისინ ეპისკოპოსები ყოფილან. გასაკვირველი ის არის, რომ ამდენი ეპისკოპოსების და მღვდლების რჩენა არც ხაზინას და არც სამრევლოს არ აწუხებდა. ღვთისაგან შექმნილი დედა-მიწა მრავალი იყო და ყველას ჰქონდა იმდენი მამული, რომ ადვილად საზრდოობდენ. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თავიანთ მოვალეობასაც დროის მოთხოვნილებისამებრ მშვენიერად ასრულებდენ.

დღეს დრო შეიცვალა. 25 ეპისკოპოსის მაგიერ ორი-და არის დარჩენილი და ისინიც დამოუკიდებელ ეპისკოპოსების უფლებას მოკლებულნი არიან. მღვდლები გაიძახიან: „შვილების გამოსაზრდელად 500—700 მანეთი არ გვყოფნის წელიწადში და თუ მრევლისაგან არ მივიღე მაშ საიდან ვიშოვო ეს საშუალება?“ წინეთ მცირე შტატიან ეკლესიებზე სხვა ნაირად ზრუნავდენ, დღეს კი სულ სხვას ფიქრობენ; მცირე მრევლიანი ეკლესიები ორი სამი შტატი ერთ შტატათ სურთ გახადონ. მღვდლები ზოგიერთ ადგილას თანახმანი არიან ამ შემოკლებაზე. მრევლი როგორც ყოველთვის ისე დღესაც, წინააღმდეგია თავის ეკლესიის შტატის დახურვაზე. რამდენად მტკიცედ სდგარან ჩვენში სარწმუნოებაზე ცხადათ ამტკიცებს მრევლის ამისთანა საქციელი.

ბევრი ქვეყნები დაგვიკლია, თითქმის ყველა აღსარების ქრისტიანების მღვდლები და მრევლნი გვინახავს, მათი ურთიერთობის დამოკიდებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგვიკითხავს, მაგრამ, გარდა ინგლისთა ხალხისა, არსად არ გვინახავს ისეთი სასიამოვნო დამოკიდებულება მღვდელსა და მრევლს შორის როგორიც არსებობდა და დღესაც არსებობს ჩვენ ქართველთა მწყემსთა და სამწყსოთა შორის. იქნება ზოგიერთებმა მიგვითითონ იმ სამწუხარო ფაქტებზე, რომელნიც მოხდენ აქა-იქ გურიაში. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ სამწუხარო ფაქტებით საზოგადო აზრის შედგენა ჩვენ ხალხზე არ შეიძლება. ამასთან ის ყალბი და შემცდარი შეხედულობა, რომელსაც ზოგიერთი უგუნურები ავრცელებენ უცოდინარ ხალხში ეკლესიაზე და სამღვდელოებაზე გარედან შემონაბერავია და უნიადაგო. თუ კარგად გამოვიკვლევთ ჩვენი სამღვდელოების დღევანდელს უფერულ, სამწუხარო და საბრალო მდგომარეობას სწორეთ გასაკვირალია, რომ ჩვენ სამწყსოთა ⁄ მწყემსთა შორის კიდევ კეთილი დამოკიდებულება სუფევს. ჩვენის აზრით კეთილ დამოკიდებულებას მწყემსთა ⁄ სამწყსოთა შორის ჩვენში ხელს უწყობს მრევლისა და მღვდლის დაახლოვება. რუსეთის ეპარქიებში ეკლესიის შტატები იხსნება იშვიათად. მრევლმა კრებულს სახლი უნდა აუშენოს ეკლესიაზედ ას-ორმოც-და ათი დესიატინა (ჩვენებურად შეადგენს სამას სამოცდა თხუთმეტ ქცევას) მიწა უნდა მიუზომოს, ამასთან სხვა გადასახადიც უნდა მისცეს. ჩვენში სულ სხვა იყო და სხვა არის. ფუთის სოფელში (შორაპნის მაზრაშია) ზედმიწერილის ეკლესიის მრევლმა მოითხოვა, რომ მათი ორშტატიანი ეკლესია გაეყოთ და ერთი კრებულის შტატი ზედ მიწერილ ეკლესიაზედ გადაეტანათ. სინოდმა გარდასწყვიტა: მიეცეს ნება მრევლს ერთი შტატი კრებულისა ზედ მიწერილ ეკლესიაზედ გადაირიცხოს იმ პირობით, რომ მრევლმა ეკლესიაზედ სადგომი აუშენოს, ჯამაგირი დაუნიშნოს და კანონით დადებული 150 დესიატინა მიწა მისცეს კრებულსო, ესე იგი სამას სამოცდა თუთხმეტი ქცევაო. მრევლს ძლიერ გაუკვირდა ეს განკარგულება, მით უმეტეს, რომ მთელი მრევლი სწორედ ას ორმოცდა ათ დესიატინა ადგილზეა გაშენებული! ამდენი ადგილი რომ მღვდლისათვის მიეცათ თვითონ უნდა აყრილიყვნენ!.. აი რამდენად შეესამება რუსეთის კანონები ჩვენ მხარეს...

ჩვენში კი წინეთ სულ სხვა წესი იყო. 60 კომლი თხოულობდა საკუთარ მღვდელს. სამღვდელო კაცს თავიანთ სოფლიდან იშოვიდენ ნაცნობს და საყვარელ კაცს. ეს კაციც ნიადაგ ცდილობდა კარგი კავშირი დაეკავებინა მრევლთან; ხალხის სარწმუნოებრივი და კეთილ-ზნეობის საქმე ჩინებულად მიდიოდა. დღეს დიდი განათლებული მოძღვრებიც ბევრია, ჯამაგირებიც ზოგიერთებისთვის მანიც დიდია, მაგრამ სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის საქმე დიდად შესამჩნევად არ მიმდინარობს მათ ხელში. . დღეს საუბედუროდ, გარეგან ბრწყინვალეს უმეტესად აქცევენ ყურადღებას, ავიწყდებათ ზოგიერთებს, რომ გარეგანი ბრწყინვალება ძლიერ მავნებელია სულიერი, შინაგანი ბრწყინვალებისათვის...

ჩვენის აზრით ეკლესიის შტატები დამტკიცებულნი 1860 წელში ერთი ორად უნდა ქცეულიყო ვინაიდგან 44 წლის განმავლობაში ხალხის რიცხვი თუ ერთი ორად არა ერთი სამად მაინც მოიმატებდა რასაც ცხადათ დაგვიმტკიცებს სტატისტიკა ხალხის აღრიცხვისა 1860 – 1904 წ.. თუ ჯამაგირის დანიშვნა საძნელოა უმჯობესია ჩვენებურად, ძველებურად ვიცხოვროთ მწყემსთა და სამწყსოთა და არ მოიშალოს ის ეკლესიური ძველი წეს-წყობილება, თომელითაც ჩინებულად მოგვიღწევია მეოცე საუკუნემდის. ეხლანდელმა უკუღმართმა ცხოვრებამ ჩვენი სამღვდელოებაც ჩაითრია. ყველას დიდი შემოსავალი უნდა. ამისათვის ზოგიერთებს სურთ ორი სამი შტატი მიეცეს. მაგრამ რა შუაშია კრებულის შტატი მღვდელი რომ ცოტას არ ჯერდებოდეს?.. ეკლესია უნდა არსდებოდეს მღვდლისთვის თუ მღვდელი ეკლესიისთვის. დიდი მოფიქრება და წინ დახედულობა არის საჭირო მათთვის ვინც ეკლესიის შტატის შემოკლებას ფიქრობს, მერმე იმ დროს რომელშიაც ჩვენ ვსცხოვრობთ.

დეკ. დ. დამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის სამღვდელოება
⁊
მისი ასავალ-დასავალი.

„ზოგი პირი მარგებელია“.

VI.

(დასასრული*).

დავათაოთ ჩვენი წერილი ამ კითხვით. როგორი გავლენა აქვს ცუდს პროპაგანდას სარწმუნოების შესახებ და როგორი შედეგი მოჰყვება მას? სარწმუნოება არის უმაღლესი, მიუწდომელი სწავლა ზნეობაზედ და სულის უკვდავებაზე. სარწმუნოება მორწმუნე ადამიანისათვის არის უძვირფასესი საუნჯე, მისი იმედი, მისი წმიდათა-წმიდა და ვის რა უფლება აქვს შეეხოს ამ წმიდათ-წმიდათას. როდესაც კაცი არა გკითხავს, არც აწუხებს მას ამის შესახებ ეკვი და შენ, არა-მკითხე მოამბესავით, დაუწყებ ჩიჩინს სარწმუნოების უარის ყოფაზე, ღვთის განგებაზე, როგორი სამსახურია ასეთი მოქმედება? ყოველად და ყოველი გონიერი ადამიანისგან გასაკიცხელი. ვისაც თავისი სიცოცხლის დღენი ამ სარწმუნოებით გაუტარებია, იმითი უწინამძღვრებია თვისს ყოველ მოქმედებაში, ვისთვისაც იგი ყოფილა ლამპარი ცხოვრების ათასს ნაირათ დახლართულ გზაზედ, ვისაც იმისი ნუგეშით ათასნაირი გაჭირვება მოუთმენია, და იმის წყალობით მხნეობა ჰქონია, არ დამორჩილებია ცუდ მიდრეკილებას, წინ აღუდგებოდა უსამართლობას განა ის გამოიცვლის რწმენას? და დაჰკარგავს თავისს სარწმუნოებას? სრულიადაც არა,—მხოლოდ მას შეაშფოთებს, გააკვირვებს ურწმუნო ადამიანის სულის მდგომარეობა, შეწუხდება იმაზედ, რომ ის კაცი გზა დაბნეული, დაკარგული ყოფილაო, თორემ სხვა არაფერი. ამისი მაგალითები სულ ხშირია,—მხოლოდ სუსტი ჭკუაგონების ადამიანს, ბოროტი კაცი ადვილად შეაცდენს. თუ სუსტი ხასიათისაა ადამიანი, ნასწავლი იყოს იგი, გინდ უსწავლელი, ეგ სულ ერთია, ორივეს ერთნაირათ გადაიყვან სხვა მიმართულებაზედ და თუ მთლად არ დაგიჯერა, ეკვი მაინც შეეპარება, ხშირად დაიწყებს მაზედ ფიქრს—შევა განსაცდელში. —ამ გარემოებაში მყოფი ადამიანი თვალ-წინ მეხატება შემდეგის სახით: წარმოვიდგინოთ კაცი, რომელსაც წინ უდგას ჭიქით სავსე წმიდა წყალი, ძალიან სწყურია, იმ წყლის მოიმედეცაა ამ უდაბურს ადგილშიდ, სადაც არ ეშოვება ამაზედ მეტი წყალი (არ იცის სად არის); მოდის მეორე პირი და ეუბნება ამ კაცს: ნუ სვამ ამ წყალს, ეგ გლახა წყალია, მე ვიცი რომ, მაგ წყალი უვარგისია და ამასთანავე შიგ ურევს თავის ტალახიან ხელს და კიდეც ამღვრევს, თუმცა კარგად იცის, რომ ის წყალი იმ კაცმა უნდა დალიოს, მეტი ჯანი არ არის... როდესაც ამ გვარ წყალს სვამს ის კაცი, თუმცა წყურვილს კი იკლავს, მაგრამ გული ერევა, ახსოვს, რომ მღვრიე იყო, რაღაცაები თან ჩაყვა და ცუდ გუნებაზეა... როგორი პასუხის მგებელია ასეთი არა-მკითხე მოამბე—მაცდური ღვთის და კაცის წინაშე...

ჩვენი მეცნიერნი—სადუკეველნი, როდესაც უარს ყოფენ სარწმუნოებას, იმის ნაცვლად ხელს გვიჭიმებენ სწავლაზედ—მეცნიერებაზედ—ამიტომ მე მსურს ვკითხო მათ: რა არის იმისი თავდები, რომ მხოლოდ მეცნიერება, სარწმუნოების გარეშე, არამც-თუ აღამაღლებს, განასპეტაკებს ადამიანის ზნეობას, არამედ, პირ-იქით, არ დასცემს, გარყვნის, შებილწავს ადამიანის გრძნობას და მთლად არ გაათახსირებს ზნეობას. თვალ-წინ დაიხატეთ ძველი რომის ისტორია და ეხლანდელი საფრანგეთისა! ძველი მეცნიერების სისუსტე ამ ბრიე დამტკიცა ცხოვრებამ და არც ახალია საიმედო. თუ რომ მხოლოდ განათლება თავდებია, სარწმუნოებაზედ უფრო, სპეტაკი ზნეობისა, მაშ განათლებულთ შორის, ნასწავლთ ფრეში ადგილი არ ექნება ისეთს უკულმართობას, რაიც გასაკიცხელია ყოველი გონიერი ადამიანისაგან; მაგრამ რომ ეს ასე არ არის ამის დამტკიცებაც ადვილია, ამისი წინააღმდეგი მაგალითები ბევრისაგან ბევრია, ნამეტურ ჩვენს ქვეყანაში; განათლებულთა სულმდაბლობა და ზნე-დაცემულობა იმდენად გავრცელებულია ჩვენში, რომ კიდეც მეზიზღება იმაზედ ლაპარაკი და რამე მისი მსგავსის გახსენება. ამ აზრის მშვენიერ ილლუსტრაციათ გამოდგება წერილი ფ. გოგიჩაშვილისა—«ინტელიგენცია»—«ცნობის ფურცელი» № 2469. —ეს არის მხოლოდ ერთი მხარე—ფულები და უსაქმურობა, ეხლა ამაზედ სხვა—ცუდი ზნეც დაუმატეთ ამას, რაც არის შედეგი უსაქმურობისა და მიზანი ფულის შეძენისა?.. აქ მოვიყვან უკანასკნელს წინადადებას ამ ფელეტონიდან, რომელიც შეადგენს

*) ის. „მწყემსი“ № 17 1903 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზიუმეს იმ წერილისას: „მაგალითად, ქუთაისში ჯერაც არ დაწყნარებულა ის ალიაქოთი, რომელიც გამოიწვია აქაურ ექიმებში იმ გარემოებამ, რომ ერთმა ახალ-გაზრდა ტ უცნობმა ექიმმა უცებ წამოიწია, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და ავადმყოფები თავისკენ მიიზიდა. განსთდებულ ექიმებს არ დაუტოვებიათ ინსტანცია, რომელშიაც ახალგაზრდა ექიმზედ—მეტოქეზედ საჩივარი არ შეეტანოთ და მისი გაძევება არ მოეთხოვოთ“. ერთს ფელეტონში ბ. სიტყვა ცრუ მოციქულებს გვიწოდებს ჩვენ, მღვდლებს და აჰა, ჭეშმარიტი მოციქულები მეცნიერებისა.—რამდენი ნასწავლი, და მეცნიერიც, ემსგავსება, თავისს ზნეობით, იმ დამპალს ვაშლს, რომელიც შიგნიდან მთლად დამპალია, მხოლოთ გარიდან წითელი კანი ჰფარავს ამ სიდამპლეს. ვინც შორიდან იცნობს ამგვარ კაცებს, ის არ მოტყუვდება, თორემ ვინც ახლო გასინჯავს და დაუკვირდება, ის მაშინვე შეატყობს მისს სიფუყეს. ეხლა გაიხსენეთ —წარმოიდგინეთ კარგათ პარიზის ზნედაცემულობა, გარყვნილება, უდამიანობა ცხოველობა, მაგრამ ცხოველებზე უფრო დაბლა... აიღეთ «ცნობის ფურცელი» წერილი თ. ს—სი სადაც აწერილია ახლო წასულში მომხდარი სკანდალი, რომელმაც მთელი ქალაქი აალაპარაკა. როდესაც ამ წერილს ვკითხულობდი ისე ამიმღვრია გული იმ ამბავმა, შემაშფოთა და გამაბრაზა, რომ მინდოდა გაზეთი დამეხია და გადამეყარა... როგორ მოგწონთ: «ჯვარდაწერილების პ რველი ღამე — სულ ტიტვლათ ორივე სქესი სარეცელზე და ამ გვარი კიდევ ეროტიული სურათები ესა და ამისი მსგავსი სხვა გახლავთ უკანასკნელი საფეხური, უმეტეს ნაწილათ, ურწმუნოთა ზნეობისა. ეხლა გვითხრან, რა არის ჩვენს ტაძრებში კონიერებასთან და ადამიანობასთან შეუთვისებელი: შეხვალთ და თვალ-წინ წარმოგიდგება (თუ კი იცა რამე) წმინდათა ცხოვრება: სულისა და ხასიათის სიმტკიცე, ბოროტებასთან ბრძოლა, ამაღლებული ბუნება ადამიანისა, გვირგვინი სულიერი მოღაწეობისა, მოყვასის უსაზღვრო სიყვარული, თავის დავიწყება, თავდადება სიმართლისათვის ... ხვ ერ? შეიძლება სთქვას ვინმემ—თავის მოტყუებას, ისა სჯობია სინამდვილით იცხოვროო. ციდეც რო ასე იყოს, მე ასე გიპასუხებთ: იმ გვარ დატყვევებას, ასეთი თავის მოტყუებულობა სჯობია. არა, სწორეთ უნდა მოგახსენოთ: თუ კაცის ბუნება თვით განგებისაგან არ არის ამაღლებული სხვა ქმნილებასთან შედარებით, მე თვითონ (ადამიანს)—მსურს ავამაღლო და ბატონად, ჭეშმარიტ მეფეთ ვყო იგი ბუნებისა და ასე განვაგრძო აღსასრულამდე სოფლისა.

მღ. ნ. ბ.

წერილი საჩხერიდან.

(შორაპნის მაზრა.)

საჩხერის და ჭიათურის გარშემო მდებარე ახლო-მახლო სოფლებში, სადაც სამრევლო სკოლების გამრავლება მეტად სასარგებლო და სანატრელია ხალხის კეთილ-დღეობისათვის, ხსენებული სკოლების საქმე ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის. ამ სკოლების შემწეობით კი, ახალი მოზარდი თაობა, წერა-კითხვას და ცოტა რამეს მაინც ისწავლის და ბევრს ცუდ-ჩვეულებას აიცდენს თავიდან. ვინ არ იცის, რომ ჩვენი სოფლის ხალხი გონებრივათ და ზნეობრივათაც მეტად დაქვეითებულია და ეს არის მიზეზი, რომ მასში ყოველ-გვარ მავნე ჩვეულებას, ცრუმორწმუნეობას, მკითხავებისა და მატყუარა ექიმებისადმი რწმენას, მეტად ღრმადა აქვს გამდგარი ფესვი. ეს ცუდი ზნე-ჩვეულობა, ჭორიკანობა, რომელიც ასე დამღუპველია ხალხისათვის, შეიძლება ავიცდინოთ თავიდან მხოლოდ სწავლა განათლებით, რომლის იარაღადაც სოფლებში ჯერ-ჯერობით სამრევლო სკოლები ითვლებიან. თუმცა, ჩვენდა სანუგეშოდ, ზოგიერთი მღვდლები ცდილობენ მავნებელი ზნე-ჩვეულობა მოაშლევინონ ხალხს, მაგრამ უმეტეს ნაწილათ მათი შრომა უნაყოფოდ რჩება, რადგან ხალხი სიბატარავიდანვე შეჩვეულია ცუდ ჩვეულებას და რაც უნდა ეცადო, ბევრს ვერას გახდები ამის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, რომ სკოლას შეუძლია ხალხის ყოფა-ცხოვრება გააუმჯობესოს, რადგან ყმაწვილი უფრო ადვილად შეითვისებს და შეიგნებს მას, რაც დიდისათვის თითქმის შეუძლებელია; ეს იმიტომ, რომ მის გულში ჯერ კიდევ არ არის გამჯდარი მისი მშობლების მავნებელი ჩვეულებანი და მიდრეკილებანი. დღეს, მადლობა ღმერთს ბევრმა შეიგნო სკოლისაგან სარგებლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მღვდლებიც რომელსაც ენერგია შესწევს და გარემოებაც ხელს უწყობს, ხსნიან სკოლებს, რომლების მართვა-გამგეობა მათვე აქვს მინდობილი; მათ შორის, უმეტესი ნაწილი, რიგიანად ასრულებს თვისს მოვალეობას. საჩხერის მხარეში ერთ საუკეთესო სკოლად უნდა ჩაითვალოს ს. მერჯევის ერთკლასიანი სამრევლო სკოლა. 1888 წლიდან იგი დააარსა ადგილობითი მღვდელმა მ. ილარიონ წიქვაძემ, სადაც რამოდენიმე წელიწადი თითონ ასწავლიდა ბავშვებს. შენობის უვარგისობა და, რასაკვირველია, მღვდელ-მოქმედების ასრულებაც, ხელს უშლიდა მ. წიქვაძეს და ამისათვის სკოლის საქმე ვერ იყო კარგ ნიადაგზე დაყენებული. მაგრამ ის ერთგულად და ბეჯითად შეუდგა ამ სკოლის გაუმჯობესობას, არა ერთხელ სთხოვა შემწეობა და დახმარება ადგილობით მრევლს და სამოსწავლო რჩევის წევრებს და ბოლოს შრომამ და მეცადინეობამ ჯეროვანი ნაყოფი მოიტანეს: სკოლის უვარგისი შენობის ნაცვლად, მ. წიქვიძემ, თავის მხრით შემწეობით და კერძო პირების დახმარებით, მშვენიერი გეგმის ახალი შენობა ააშენა,—მან დიდი შრომა, ზრუნველობა და არა მცირე ნივთიერი დახმარება გაუწია ამ სკოლას, სადაც დღეს 50 ბავში სწავლობს, და რომლის მმართველობაც მასვე აქვს მინდობილი. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებელი ამა სკოლისა, ბ. გერმანე მჭედლიძე ძალიან ბეჯითად და მუყაითად ემსახურება თვისს დანიშნულებას, რაიცა მეტად იშვიათი მოვლენაა ჩვენ სამრევლო სკოლებში.

მღ. სჰარდონ ეიფშაძე.

საისტორიო მასალა.

გურთხევა მირონისა.

„დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეპისკოპოსთა ცილობისაგან და ღუთივ გვრგვნოსანმან მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად და გვიბრძანა განჩენად, . ვითა ნიშანთა შეეტყუტ\ბოდა, და ხელვყავ მე გლახაკმან მიქელ ქართლისა ქათალიკოზმან და ვაკურთხეთ წმინდა მიჰრონი. ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელთ მოძღვარნი შემოკრბენ მცხეთას დიდსა ხუთშაბათსა, დიდისა სომხეთისა მიტროპოლიტსა ჰმართებს ნივთთა ზედა დგომად; და ქუაბნი საკურთხეველთათ გამოიხუნენ, და მიტროპოლიტსა და ქადაგსა ეტკირთნენ კეტნი ქუაბთანი; წინათა კეტთა მიტროპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი. თუ მწირველი იყოს, თეთრითა შესამოსლითა შემოსილ იყოს; თუ მწირველი არ აყოს თეთრისა ატლასისა ჩაჩი თავსა ებუროს მოყუნტუზვილი. და მეორეთა ქუაბთა მთავარ-ეპისკოპოზი ქუ\ბშე უდგეს და წინა მივიდოდეს და უკანა კეტთა მაწყუერელი და უკანა მთავარ-ეპისკოპოზისა მოჰყვებოდეს; და რაჟამს განზავებდენ ტაკუკსა, ტაკუკი მაწყვერელსა ეტკრთოს; და რაჟამს განზაონ ტაკუკი, ქადაგისა კელითა დაიბეჭდვოდეს და ყოველთა ეპისკოპოზთა თვითო კოკაჲ მირონისა ეტკირთოს: და კერეონებითა სვეტსა ცხოველსა გარე მოადგნენ და კ\ათ\ოლ\იკე ეკ\კ\ლ\ესიისა გალობდენ.

«შემზადება... მირონისა ვითარ იგი სრულ იქნების... წმინდასა სოფიას ზედ-მიწევნით გამოძიებული და გამოწულილვით გამოკულეული თვით კეთილ-მსახურთაგან და მოძღუართა ამისისა შეზავებისა და სრულებისათა. ხოლო მე ერთ გვარიცა კურთხევაჲ მინახავს იერუსალიმს, გარნა ამის ეკ\ კ\ ლ\ ესიისასა სოფია-წმიდისა და ანტიოქელთა ეკკლესიისა ესთენ არს წესი წმიდისა მირონისა კურთხევისა და ესთენ ლოცვანიცა და თქვენ ვინადგან ამის ეკ\ კ\ ლ\ ესიისა შედგომილნი ხართ, ამისითა წესითა გიღირს ბაძვა და მიმსგავსებაცა ძალისაებრ».[1])

აქა დაგვშთა საძიებელი მრავალთაჲ, თუ ოდეს მიიღეს ქართველთა კურთხევაჲ მიჰრონისაჲ; და ამისდა ცნობად მრავალ ჟამ ვდროებდ აღწერად ბრძანებულსა ჩემდა შენ მიერ მოსაკსენებელსა ამას, და ესოდენ ვპოე საზოგადოდ ყოველთათოვის, ვითარმედ ძალკიდონისა კრებასა ესმა, რომელ სიძვრისათჳს ფასით ჰყიდდეს მიჰრონსა. ამისათჳს ბრძანეს წ-თა მამათა, რათა არა ხოლო ანტიოქიას, არამედ სხუათაცა ეკკლესიათა შინა წმიდა იქნებოდეს მიჰრონი. ხოლო თჳსაგან ქართველთაჲ საგონებელი არს, ვითარმედ სიშორისათჳს გზისა და რომელ ფრიად

---

1) იხ. წ.-კით. ბიბლიოთ. ხელნაწ. № 352.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშიშ არს უცხო თესლთა შორის კმელით ანტიოქიით ქართლს წაღებაჲ წ-სა მიჰრონისა,—ამისთჳს თჳთ ადგიდსა დაწესებულ არს მათდა კურთხევაჲ მიჰრონისაჲ.[2])

განგება დარბაზობისა.

რაქამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეპისკოპოსნი ამა წესითა დასხდნენ: ა) ბრძანოს ქართლისა ქათალიკოსმან და დაჯდეს მარჯუენით მეფისა ნატითა და ბალიშითა; ბ) შემოვიდეს ჴყონდიდელი და დაჯდეს მარცხნით მეფისა ნატითა და ბალიშითა; გ) შემოვიდეს დიდისა სომხითისა მიტროპოლიტი და დაჯდეს კათალიკოზსა ქუჱშმო ნატითა და ბალიშითა.

შემოვიდეს მთ. ეპისკოპოზი და დაჯდეს მიტროპოლიტსა ქვემოთ ნატითა უბალიშოდ.

შემოვიდეს მწყვერელი და დაჯდეს მთავარეპისკოპოზსა ქვემოთ ნატითა უბალიშოდ.

შემოვიდეს აბბა ალავერდელი და დაჯდეს ჴყონდიდელისა ქუჱმოთ ნატითა უბალიშოდ.

შემოვიდეს ქიზიყელი ბ დაჯდეს აბბა ალავერდ. ქუჱმოთ უნაოდტ.

შემოვიდეს ჭუმურდოელი და დაჯეს ქიზიყ. ქვემოთ.

ნინოწმიდელი არქიმანდრიტი—მაწყვერელ ქვ.

იშხნელი—ჭუმურდ. ქვ.

ანჩელ არქიმანდრ. ნინოწმ. ქვ.

ტბეკარი. იშხნელის ქვ.

წურწყაბელი ანჩელის ქვ.

წყაროს თაველი ტბეკარის ქვ.

ბრუშნელი. წურწყამ ქვ.

მანგლელი წყაროსთავ. ქვ.

წინწყაროელი ერუშნ. ქვ.

რუსთველი მანგლელის ქვ.

წილკნელი წინწყაროელის ქვ.

ქაწარელი რუსთველის ქვ.

ურბნელი წილკნელის ქვ.

მრუელი ქაწარელის ქვ.

სამთავნელი ურბნელის ქვ.

ნიქოზელი მრუელის ქვ.

მამათ მთავარნი.

ვალაშკერტელი, ნიქოზ. ქვ.

ბოლნელი სამთავნელ ქვ.

ქარელი ვაშკერტელ ქვ.

ანელი ბოლნელის ქვ.

ხარჭაშნელი ქარელის ქვ.

ტფილელი ანელის ქვ.

წალკელი ხარჭაშნელ ქვ.

ბანელი ტფილელის ქვ.

ჰერემ—ქალაქელი წალკელის ქვ.

ლბანელი ბანელის ქვ.

დადაშნელი ჰერემ. ქვემოთ.

გიშელი დადაშნ. ქვემოთ.

მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღვარნი და წინამძღვარნი და მათითა წესითა წინა მიუსხდენ ეპისკოპოსთა.

„მეფესა ჯვარის მტვირთველსა ათაბაგსა და სპასალარსა შუა მართებს ჯდომა. ვინცა ესე ღუთისა სწორთა მეფეთ მეფისა აარჩილის ბრძანებული და განაჩენი და ჩვენ გლახაკისა ქართლისა ქათალიკოზისა მიქელისაგან დამტკიცებული შეურაცხჰყოს და ამა განაჩენსა ურჩექმნას, კათოლიკე ეკკლესიისაგან განიხადოს და ურჩებისა პატიჟი მიეხადოს, ვითარცა ურჩსა და სჯულისა გარდამავალსა და რომელიცა პატივი აქვნდეს, იგიცა მოეძარცოს“.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა კრების მუშაობას, რომელნიც მიმდინარე წლის 7—17 აგვისტომდის, საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით, ბჭობდნენ საერო განათლების საქმის შესახებ.

მზრუნველთ საჭიროდ სცნეს, საშუალო სკოლების კარგ მასწავლებელთა მოსამზადებლად, დაარსებულ იქნას საპედაგოგიო ინსტიტუტი, სადაც შესვლის ნებას მისცემენ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც დასრულებული სამეცნიერო განათლება მიუღიათ. რადგან ამ ტიპის ინსტიტუტებს მალე ვერ გახსნიან, მანამდის უნივერსიტეტებში შემოიღებენ პედაგოგიის სწავლებას იმ პირთათვის, რომელნიც

2) იხ. ქრონიკ. 47 გ. და ქართ. ცხ. 117 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლობისათვის ემზადებიან. განზრახულია, სამოსწავლო ოლქებში გამოსცადონ პედაგოგიაში მასწავლებლის ადგილის მიღების მსურველნი. კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალ ენების სწავლების გაუმჯობესობას. ამისათვის ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე კურს დასრულებულთ საზღვარ-გარედ ჰგზავნიან ენების შესასწავლად. ახალ ენების მასწავლებელთ იმავე უფლებას მისცემენ, რაც სხვა მასწავლებელთ აქვთ. კრების აზრით, მეტად საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა.

კრების აზრით, სწავლება საშუალო სკოლაში ისე უნდა სწარმოებდეს, რომ ჩაუნერგოს ბავშვს ხელმწიფისა და სამშობლოს მიმართ სიყვარული, საღმრთო წერილის საშუალებით. უნდა გაუმჯობესებულ იქნას მოსწავლეებზე ზედამხედველობა, დამტკიცდეს კავშირი სკოლისა და ოჯახის შორის, მიექცეს ყურადღება ფიზიკურ აღზრდას და სხვა.

კრების აზრით, საშუალო სკოლების ტიპი შემდეგი უნდა იქნეს: 8 კლასიანი გიმნაზიები, რომელთა უმრავლეს ნაწილში ბერძნული ენის სწავლება არა-სავალდებულო იქნება; რეალური სასწავლებლები 6 ძირითადი და ერთი დამატებითი კლასით და ექვს-კლასიანი გიმნაზიები, საშუალო სასწავლებლის კურსით, რომელნიც უფლებას მისცემენ საგუბერნიო სამსახურში შესასვლელად, და საშუალო სატეხნიკო და საპროფესიონალო სასწავლებლები.

იმ გიმნაზიებში, სადაც ორივე ძველ ენას ასწავლიან, ამ ენების სწავლება ვრცელის პროგრამით უნდა სწარმოებდეს, რათა დასრულებული კლასიკური განათლება მისცენ მოწაფეთ.

სხვა-და-სხვა ტიპის სკოლებს ადგილობრივ საჭიროების მიხედვით გახსნიან, რის შესახებ პროექტების შედგენა ოლქის მზრუნველთ მიენდო.

რაც შეეხება უნივერსიტეტებში სწავლების საქმის გაუმჯობესებას, კრება იმ აზრს დაადგა, რომ საჭიროა, პროფესორების მოსამზადებლად, მოემატოს საპროფესორო სტიპენდიების რიცხვს და თვით ამ სტიპენდიებს და გაუმჯობესებულ იქნას უნივერსიტეტში პრაკტიკული სამუშაო. ლექციების კითხვა თავის დროზე უნდა იწყებოდეს; გაუქმებულ უნდა იქნას ეგზამენების, ფულის შეტანის გადადება, საზოგადოდ სასტიკად უნდა დაცულ იქნას წესდება, რათა სტუდენტებს ჩაუნერგონ გრძნობა მოვალეობისა.

რაც შეეხება დაბალ სკოლებს, კრება იმ აზრს დაადგა, რომ საჭიროა შეთანხმებულ იქმნას ამ სფერაში საერო განათლებისა და სასულიერო უწყების მოქმედება. ამიტომ კრებაზე მოწვეულ იქნა სასულიერო უწყების წარმომადგენელი.

სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოთქმულ აზრის თანახმად, შეუძლებელია საერო განათლების რთული საქმე ერთ რომელსამე უწყებაში მოთავსდეს, მხოლოდ უნდა დაცულ იქნას ამ სფერაში ერთგვარი მიმართულება ორივე უწყების. კრებაც იმ აზრს დაადგა, რომ თვითეული უწყება დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდეს, ერთგვარის მიმართულების მიხედვით.

სახალხო სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად, უნდა მოემატოს სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სემინარიების რიცხვს; მასწავლებელთ იგივე ჯამაგირი უნდა მიეცეთ, რაც გიმნაზიის მასწავლებელთ ეძლევათ.

კრების დადგენილებანი წარმოადგენს მასალას, რომელსაც საერო განათლების სამინისტრო შეიმუშავებს სამოსწავლო საქმის გასაუმჯობესებლად.

*
* *

რუსეთის გაზეთებმა აღძრეს საკითხი იმის შესახებ. რომ გაუქმებულ იქნას საუნივერსიტეტო დიპლომები, ის უფლებანი, რომელთაც უნივერსიტეტებში კურს-დასრულებულთ აძლევენ. დიპლომმა შექმნა კარიერიზმი, დიპლომის გამოყენება თავის საკეთილდღეოდ. მეცნიერების შესწავლა თავის კერძო საქმეების მოწყობისათვის „გზად და ხიდად“ შეიქმნა. ამ წესმა შექმნა ისეთი ნიადაგი, რომელზედაც მრავლად თავს იყრიან ფუქსავატი მიმართულების ახალგაზდები, რომელთაც მეცნიერება სრულებით არ აინტერესებთ, ფორმალურ-გარეგნულად ეკიდებიან საქმეს და ლექციების გაზეპირებისა და ეგზამენის „ჩაბულბულების“ მეტს არას აკეთებენ.

თვალი რომ გადავავლოთ დღევანდელ სტუდენტობას, ნათლად დავინახავთ, რომ კარიერა მათი კერპია. მეცნიერება მხოლოდ უბრალო საფეხურია ამ კერპის წინაშე მუხლის მოსადრეკად. უანგარო მოღვაწეთა, ცნობილ მეცნიერ-მკვლევართა ნაფიქრი, სიღარიბეში შექმნილ-აღზრდილი, გამდიდრების წყაროდ გადაიქცა დიპლომის საშუალებით.

უცნაური სანახავია, როცა უნივერსიტეტ დასრულებული ახალგაზდა ამაყად ატარებს გულზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიპლომის მიღების ნიშანს, ჯილდოს, ოქროში ჩამჯდარ თეთრ ჯვარს; ერთი რუსის თქმისა არ იყოს: „При жизни сами надъ собой ставятъ крестъ“.

თითქო მეცნიერება იმდენად არ აჯილდოვებს ადამიანს, რომ კიდევ პაწია ჯვარის მომატების საჭიროებას, თითქო განათლებულ ადამიანს ეს მკირე „დამატება“ სჭირდება, თავისი ღირსების ცხად საყოფად.

გაზეთების აზრი მეცნიერებისა და დიპლომის განცალკევების შესახებ თანაგრძნობის ღირსია, რადგან ამნაირად განცალკევდებიან თვით მეცნიერების უანგარო ტრფიალნი და კარიერის კერპის თაყვანისმცემელნი.

გაზეთების აზრით, სამსახურში შესვლის მსურველთათვის განსაკუთრებული საეგზამენო დაწესებულება უნდა დაარსდეს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ ექნება უნივერსიტეტთან. (ცნ. ფურ.)

*
* *

„ეკონ. გაზ.“-ში დაბეჭდილია ლ. ბუხის საყურადღებო წერილი შემდეგის სათაურით: ‹ჩვენი დღევანდელი საჭიროება“. მოგვყავს ამ წერილში მოყვანილი ზოგიერთი საგულისხმიერო აზრები:

დღეს საზოგადოება დარწმუნებულია, რომ რეაქციონერთა ყალბი პროექტები, უკან-სვლა შეუძლებელია. დღევანდელმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ უნდა გაგვიხილოს თვალები, უნდა დაგვანახვოს, რამ შეაფერხა მესამოცე წლების დიდ რეფორმათა განვითარება, რათ შეეკვეცა ფრთა ხალხის წარმატებას.

მართალია ბატონ-ყმობის დამხობა დიდებული რეფორმა იყო, მაგრამ მან საბოლოოდ ვერ გაანთავისუფლა ხალხი. საზოგადოებას თავისუფალი დაწესებულებანი მისცეს, ერობა ‌ᲡᲐ ქალაქო თვითმმართველობა, და ამავე დროს უზრუნველ არ-ᲰᲧᲕᲔᲚ ადამიანის უპირველესი უფლება—ადამიანის პირადი თავისუფლება, თავისუფლება აზრისა და სარწმუნოებისა. გარეგნულად სრულ მოქალაქებად გაგვხადეს, ნამდვილად კი ძველ მონობაში დაგვტოვეს. თავისუფალი დაწესებულებანი მოგვცეს, ხოლო ამ დაწესებულებებში თავისუფალი მსჯელობა აგვიკრძალეს. შექმნეს ცენზურა, ადმინისტრატიული აპეკამზრუნველობა, ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლობისაგან განდგომილთ, მიმართეს სხვა-და-სხვა ნაირ ზომებს, რათა ესე გაეწვრთნათ ხალხი, რომ იმის პირადობა გამქრალიყო, იმ ტიპის, იმ ნიმუშის მიხედვით, რომელიც საბიუროკრატო საჩინოვნიკო ქარხანაში იყო დამზადებული.

ამ გზით წინსვლა შეუძლებელია. ერთი ნაბიჯიც რომ გადავდგათ, მთელი ჩვენი თავისუფალი დაწესებულებანი აღიგვებიან პირისაგან ქვეყნისა და ბურთი და მოედანი რეფორმის წინა დროის მოხელეთ დარჩებათ.

მაგრამ თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ რუსეთის საზოგადოება იმდენად განვითარდა, რომ იმისი ხელ ახლად ალაგმვა შეუძლებელია, შეუძლებელია ბატონ-ყმობის დაბრუნება, მთელ ჩვენ საზოგადოებას სულითა ‌ᲓᲐ გულით სწყურია თავისუფლება, თავისუფლება პირადობისა, აზრისა და სარწმუნოებისა.

*
* *

თავ. მეშჩერსკი საინტერესოდ ახასიათებს პეტერბურგის ბიუროკრატიულ დაწესებულებათ, მოხელეთა წრეს, რომელსაც ერთ ადგილზე ჯდომის გამო ხავსი მოეკიდა და აღარაფერი სიკეთე არ სწამს ცხოვრებაში.

თავ. მეშჩერსკი ამბობს, რომ სწორედ ამ პირქუშა მოხელეებმა გაავრცელეს ხმა იმის შესახებ, რომ ახლად-დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი თ.-დი სვიატოპოლკ-მირსკი დიდხანს ვერ დარჩება თავის ალაგზეო. იმათ გულს აკლიათ, სწყინთ საზოგადოების თანაგრძნობა სვიატოპოლკ-მირსკის მამართ. დაჰბერა თუ არა პეტერბურგში ამ თანაგრძნობის სიომ, შეიძრნენ „საჩინოვნიკო“ სასახლეებში ხავს-მოკიდებული მოხელეები. არა-ერთი დიდი ხარისხის მოხელე მწარე საგონებელში ჩაადგა ამ ამბავმა. თავის სავარძელში ხალვათად დაბრძანებულნი, ისინი ‌ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, სადაც კი რაიმე ახალი მოძრაობის ნიშნები გამოჩნდება, მოღალ-ტეებსა და ქვეყნის დამქცევთ ხედავენ. აი ეხლაც შექმნეს იმათ განგაში იმის გამო, რომ თ.-დი სვიატოპოლკ-მირსკის რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდან დეპეშები ‌ᲓᲐ ადრესები მოუვიდა თანაგრძნობის გამოცხადებით. „მინისტრმა ერთობ ხელი მოუშვა აღვირს, ხალხი გაათამამაო“,—შიშით ამბობენ ისინი. ვინ იცის, ამ გზით რომ ვიაროთ, რომელ ხრამში გადავიჩეხებითო. და აი გამოძვრნენ ეხლა თავის საბიუროკრატო ხვრელებიდან ეს გესლიანი არსებანი, გულსაკლავად სისინებენ და შხამს სცხებენ საზოგადოების ახლადაყვავებულ იმედს, სასიხარულო მისწრაფებას.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** 15 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ჩერქეზიშვილმა შემდეგის შინაარსის წერილი მიიღო იაკობ კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილისაგან: «მე და ჩემმა ძმებმა ლევან და პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილებმა გადაგწყვიტეთ ჩვენის გარდაცვალებულის ძმის სტ. კონსტ. ზუბალაშვილის ხსოვნის სახსოვრად შეეწიროთ ასი ათასი მანეთი ტფილისს, რომ ამ ფულით გამართულ იქნას ბავშვთა საავადმყოფო სტეფანე კონსტ. ზუბალაშვილის სახელობაზე. გთხოვთ აცნობოთ ჩვენი გადაწყვეტილება ქალაქის საბჭოს და მოახსენოთ, რომ შეუშავებულ იქნეს პირობები ბავშთა საავადმყოფოს გამართვის შესახებ".

*** როგორც „ცნობის ფურცელ"-ს გაუგია, ახლად გარდაცვალებულ სტეფანე ზუბალაშვილის ძმებს განსვენებულის სახსოვრად შეუწირავთ თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შენობის ასაგებად 50 ათასი მანეთი და „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის» 10 ათასი მანეთი.

*** გამოქვეყნებულია საინტერესო სტატისტიკური ცნობები რუსეთში ებრაელთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. 500 ათასზე მეტი ებრაელი რუსეთში ფიზიკურის მუშაობით ირჩენს თავს; ამ რიცხვში უმეტესი ნაწილი ხელოსნებია ბინადრობის საზღვარში მომწყვდეულნი, ებრაელი ხელოსნები სამუშაოს ვერ შონილობენ, საშინელ სიღარიბეს ითმენენ და ძლიერ ხშირად უბრალო სამუშაოს კისრულობენ, რომ შიმშილით არ გაწყდნენ. ასი ათასი ებრაელი—უბრალო მუშებია. ებრაელთა 9 ათასი ოჯახი—(51 ათასი კაცი) მიწათ-მოქმედებას მისდევს. ებრაელთა ახალშენები და 21 ათასი ებრაელი სხვების მამულებში მუშაობს. სულ მიწათ-მოქმედებით თავს ირჩენს 150 ათასი ებრაელი. ქარხნებში 32 ათასი ებრაელი ითვლება. ებრაელებს ეკუთვნის სულ 3 ათასამდე წვრილი ქარხანა. საზოგადოდ, ებრაელთა უდიდესი ნაწილი—ღარიბია, თავის შრომით ცხოვრობს. არსად არ არის ისეთი საზიზღარი სიღარიბე, როგორიც იმ ებრაელთა შორისაა, რომელნიც კანონის ძალით ბინადრობის საზღვრებში არიან მომწყვდეულნი.

*** «პრავო» იუწყება, რომ თავ. ნ. დ. დოლგორუკოვს, რომელსაც განსვენებულმა მინისტრმა ვ. კ. პლევემ საზოგადო მოღვაწეობა აუკრძალა, ისევ დაუბრუნეს ის უფლება.—შინაგან საქმეთა მინისტრის, თავად სვიმატოპოლკ-მირსკის განკარგულებით დააბრუნეს ციმბირიდან 1903 წ. გაგზავნილი პეტერბურგის საბჭოს ხმოსანი ფალბორკი და ოლონეცკის გუბერნიიდან —ნაფიცი ვექილი თ. ა. ვოლკენშტეინი. ორნივე გაგზავნილი იყვნენ 1903 წელს პეტერბურგში მომხდარ ტეხნიკოსთა კრების შემდეგ.

*** 15 ოქტომბერს, ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა სოუტ-ჰამპტონში ტ გამოაცხადა, მომხდარმა ამბავმა ძლიერ ააღელვა ინგლისის ყველა ქვეშევრდომი და დედა-მიწის ყველა ხალხი, რომელნიც ინგლისურად ლაპარაკობენო. ბალფურის აზრით, 8 ოქტომბერს მომხდარი უბედური შემთხვევა არ გამოიწვევს დიდ ნაციონალურ ომს, რომელიც ზოგჯერ საჭირო ხდება, მაგრამ სამწუხარო შედეგი მოსდევს და აბრკოლებს ცივილიზაციას და ჰუმანურ პროგრესსაო. დიდ სახელმწიფოთა შორის ბრძოლა ყოველთვის საშიში ხდებოდა სანეიტრალო სახელმწიფოთათვის, მაგრამ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ბრძოლა საშიშარი გახდებოდა მშვიდობიან მუშებისათვისაც, რომელთაც მუშაობის დროს ყუმბარებს დაუშენდნენ და დაღუპავდნენ. ეს ამბავი ორნაირად არის აწერილი, ამიტომ საქმე საერთაშორისო პირუთვნელ გამომძიებელთ უნდა გადაეცეს. ეს გამოძიება, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორი თანაგრძნობით მიეგება, სიმართლეს აღმოაჩენსო. ბალფური შესაძლოდ სცნობს გამოაცხადოს, რომ გაჭირვება თავიდან აიცდინეს და ომი აღარ მოხდება. რუსეთმა უღრმესი მწუხარება გამოაცხადა და ხელმწიფე იმპერატორმა ამის შესახებ დეპეშა გაუგზავნა მეფეს, რუსეთის მთავრობამ პირობა დასდო, უხვად ზღოს ზარალი, გამოძიებას მოახდენენ. რუსეთისა და ინგლისის მთავრობანი შეთახმდნენ იმის შესახებ, რომ ჰაგის კონფერენციის თანახმად, ეს საქმე საერთაშორისო კომისიას გადაეცეს გამოსარკვევად.

*** რუსეთისა ტ ინგლისის მთავრობა სრულიად მორიგდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ გადასწყვიტონ ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ამბავი. საქმის გამოსაკვლევად ორსავ სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან კომისია დაინიშნება. ამ კომისიას უფლება აქვს. ბალტიის ესკადრის აფიცრებიც მოიწვიოს ჩვენების

ჩამოსართმევად. უდანაშაულოდ დაზარალებულთ უხვი საზღაური მიეცემათ.

*** 16 ოქტომბერს, როგორც ბათუმური გაზეთი გადმოგვცემს, ვიღაც შეიარაღებულ კაცებს გაუძარცვავთ ბათუმის ქალაქის საავადმყოფო. ოთახში, სადაც ყოფილან საავადმყოფოს ზედამხედველი კარლო ჩხეიძე, ექიმი შატილაშვილი, სიმონ იოსელიანი, ბასილ ბერძენიშვილი, ალექსი მოსიძე და ბენიამენ შაქარაშვილი, შევარდნილა 3 რევოლვერებით შეიარაღებული კაცი. ბოროტ-მომქმედთ ჩხეიძისთვის მოუთხოვნიათ ფული. ამასაც ამოუღია კასის გასაღები და გადაუცია, მაგრამ გასაღები გამომდგარა გარეთა კარებისა და არა შიგნითა. როდესაც კასის მტვრევა დაუწყიათ, ოთხ კაცს, რომელნიც გარედ მდგარან, უცნობებიათ, რომ მოდიანო, და ყველანი გაქცეულან. ყაჩაღებს მხოლოდ ათი თუმანი და 3 საათი გაუტაცნიათ.

*** საქართველოს სამრევლო-საეკლესიო სკოლების საბჭოს განკარგულებით, დუშეთის სამაზრო სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარე ბლ. მღ. დ. მეტრეველი დათხოვნილ იქნა თავმჯდომარის თანამდებობიდან.

*** ვარშავის ოფიციალურ გაზეთში „ვარშ. დნ.“-ში სწერია: „კვირას 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზე ქალაქს გარედ სასაფლაოსთან ხალხმა მოიყარა თავი, შემდეგ ქალაქისაკენ გაემართა და გზაში პროკლამაციებს ავრცელებდა. ქალაქის განაპირა ადგილას, საბაჟოსთან ხალხს გზაზე გადაეღობა პოლიციელთა რაზმი. ხალხმა ქვები მიაყარა პოლიციელთ და უკანასკნელთ იარაღს მიმართეს. ხალხი გაიფანტა და რამდენიმე კაცი დაპატიმრებულ იქმნა. ხალხთან შეტაკების დროს დაიჭრა ქვებით ბოქაული ფუქსი და იმისი თანაშემწე. მოკლულ იქმნა ქვებით უბნის ზედამხედველი ლევანტოვსკი.

*** „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, ქ. ეკატერინოსლავში ამას წინად საღამო ჟამს პოლიცია სდევნიდა ქუჩებში როსკიპ ქალებს და ეს საბრალო არსებანი აქეთ-იქით გაფანტულან. ერთი მათგანი მივარდნია ვიწრო, ბნელ მონახვევში ვიღაც უცნობ კაცს, მიშველეთ, პოლიციელი კვალში მიდგია, გამომყევით ერთ წუთს და თქვენთან ვერაფერს გამიბედავსო. ამ წმიდად ჩაცმულს და წმინდა გრძნობათა მექონე ვაჟბატონს უთაკილებია „უწმიდურ“ როსკიპ ქალის გაყოლა, რომელიც იქვე ახლოს ერთ სახლში შევარდნილა და პოლიციელიც შეჰყოლია. შიშისაგან ზარ დაცემული საცოდავი ქალი ამ სახლის მესამე სართულიდან ქუჩაში გადავარდნილა და სასიკვდილოდ დაშავებულა. („ცნ. ფურც.“)

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

ჩვენ მივიღეთ ახლად გამოცემული წიგნი მღვ. პ. კარბელაშვილის მიერ: „იერარქია საქართველოს ეკკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელთმთავარნი.“ წიგნი პირველი. ეს წიგნი მღვდელთათვის მეტისმეტად საინტერესო არის და ვისაც ჩვენი ხალხის და ეკკლესიის ისტორია საინტერესოდ მიაჩნია დიდათ დაუმაყოფილდება ამ წიგნის წაკითხვით. წიგნი შესდგება 212 გვერდისაგან და ღირს მანეთად. თუ მივიღებთ სახეში იმ შრომას, რომელიც წიგნის შემდგენელს მიადგებოდა სხვა-და-სხვა საისტორიო მასალათა შეკრებაზე ფასი ესეთი წიგნისა არ არის დიდი.

*** 24 ოქტომბერს დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ ქართლ-კახელების საეკკლესიო მუზეუმი დაათვალიერა.

*** «ცნობის ფურცელშია“ გამოცხადებული თავ. აკაკის ავმდმყოფობის ბიულეტენი. «22 ამ თვისას, საღამოზე თავ. აკაკი ავად გახდა. ხანმოკლე სისუსტის შემდეგ იგრძნო თავის ტკივილი, თავის ბრუ და რამდენიმე საათის შემდეგ მარცხენა თვალს ზედა ქუთუთოს და მარჯვენა ლოყის მსუბუქი სიდამბლე მოუვიდა. ამ ხანად ავადმყოფის მდგომარეობას ცოტა უკეთესობა ეტყობა, მაგრამ სრული განკურნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი ექიმობა. თუ რაიმე ცვლილება მოხდება ავადმყოფობის მიმდინარეობაში, თავის დროზედ საზოგადოებას ვაუწყებთ.

*** ბოგუსლავიდან (კიევის გუბერნიაშია) გაზ. „დეს. ფრენდ.“-ს ატყობინებენ, რომ 11 ოქტომბერს მოხდა ქალაქის აკლებაო. მრავალი სახლი და დუქნები დარბეული და გაძარცული. მხოლოდ ზოგიერთმა ბედნიერმა გამოისყიდა ჯ იხსნა თავი ფულით.

*** გროდნოდან «ნოვოსტ»-ს ატყობინებენ, რომ სამობილიზაციო დღეებმა აქ ვერ ჩაიარა მშვიდობიანად: 12 ოქტომბერს რამდენმამე სათადარიგო ჯარის-კაცმა ჩაამტვრია აქაური მცხოვრების რაბინოვიჩის სახლის ფანჯრები, აქედან ბრბო გაქანდა არაყის დუქნისაკენ და გაანადგურა რაც დუქანში არაყი იყო. ერთის საათის შემდეგ ამნაირივე დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააყენა მეორე სახაზინო არყის დუქანს. პოლიციამ ვერაფერი ვერ მოუხერხა აშფოთებულ ბრბოს. ქალაქში ყველას ეშინოდა ქალაქის სრულიად განადგურებისა და ამისათვის ისპრავნიკმა დეპეშით შეატყობინა ვიტებსკის გუბერნატორს და სთხოვა ჯარის გაგზავნა. მთვრალმა ბრბომ კი ნაშუადღევის 4 საათზე გაანადგურა რამდენიმე კარავი და ტყავის დუქანი. 6 საათზე ვიტებსკიდან მოვიდა ერთი როტა. ყველგან დააყენეს დარაჯები. შემდეგ დღეებმა მშვიდობიანად ჩაიარა.

*** ამდენ ხანს ვილნოს სამოსწავლო ოლქის სახალხო სასწავლებელში, სადაც ლიტველები სცხოვრობენ, ხმარობდნენ რუსულის ასოებით დაწერილ ლიტვურ წიგნებს. ეხლა კი ნება მიუცია ბეჭდონ პირველ დაწყებით სკოლებში სახმარი წიგნები ლათინურ-ლიტვურ ასოებით.

*** როგორც დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, უმაღლესის ბრძანებით, სხვათა შორის, კავკასიიდანაც გაიწვიეს ჯარში სათადარიგო აფიცრები. გაწვეულთ ხუთი დღის ვადა აქვთ თავიანთ საქმეების მოსაწყობად. დღეს, 28 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილის თავმჯდომარეობით ქალაქის სამხედრო საკრებულო შეუდგება ახლად გაწვეულ სათადარიგო აფიცრების შემოწმებას და დაასრულებს ამ საქმეს ხვალ, 29 ოქტომ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობით, საერო განათლების მინისტრს უთხოვნია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის, დახმარება გაუწიოს მზრუნველს ბ-ნ ზავადსკის, რომ მან ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი გადააკეთოს ისე, როგორც რუსეთის სხვა ყველა ამგვარი სატეხნიკო სახელოსნო სასწავლებელია. როგორც თავის დროზედაც ვწერდით, გაუქმებულ იქნა ამ სასწავლებლის ქართული, სომხური და რუსული განყოფილებანი ⁄ სასწავლებლის გამგე-კომიტეტები. საერო განათლების სამინისტროს სამეურნეო ნაწილის მინდობილებით გუშინ გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავის მოადგილეს, დაუყოვნებლივ შეუდგეს გამგეობა სასწავლებლის ახლად წესდების პროექტის შემუშავებას. პროექტი საგუბერნიო მთავრობას უნდა წარედგინოს განსახილველად.

*** «ნოვ.»-ს სწერდნენ მოგილევიდან, რომ 10 ოქტომბერს იქ ჯარის მობილიზაცია გამოაცხადეს. იმავე დღეს ქალაქში უწესობა მოხდა. ქუჩებში თავი მოიყარა ებრაელების მიმართ მტრულად განწყობილმა ხალხმა. ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ, თავს ესხმოდნენ ებრაელებს და იკლებდნენ ებრაელთა სახლებს. ვაჭრობა შეწყდა. ბევრი ებრაელია დაჭრილი და გალახული.

*** მოგილევის გუბ. ქალაქ მსტლისლავიდანაც სამწუხარო ამბავ, სწერენ „ნოვ.»-ს. გაშმაგებულმა ბრბომ დაარბია ებრაელთა სახლები და დუქნები. აკლებულია ებრაელთა 22 მაღაზია და მრავალი პატარა დუქანი. ქალაქში თავი მოიყარა ახლად გაწვეულმა 2000 სათადარიგო ჯარის-კაცმა. ადმინისტრაციის განკარგულებით სახაზინო არყის დუქანი დახურულ იქმნა. ხალხი მიესია დახურულ დუქანს და გაღებას თხოულობდა. ნაშუადღევის 2 საათზე დუქანი გააღეს. ხალხმა მალე დაიტაცა არაყი. ქალაქი მთვრალის ხალხით აივსო. მეორე დღესაც გაღებული იყო არაყით სავაჭროები. მთვრალი ხალხი შეუდგა ებრაელთა სახლებისა და დუქნების დარბევას. ქალაქი საზარელ სურათს წარმოადგენდა. გაშმაგებული ბრბო მთელ ქუჩებს მოედვა. ყველგან ისმოდა საცოდავ, აკლებულ ებრაელთა გულ-საკლავი კივილი და ქვითინი. მფარველი არავინ გამოუჩნდა ამ საწყალ ხალხს. მხოლოდ მეორე დღეს ებრაელების გადარჩენილ სახლებთან ჯარის-კაცები დაუყენეს თოფებით.

ქ. სტარი ბიკოვშიაც მოხდა უწესობა. 10 ოქტომბერს ქალაქში მოვიდნენ ახლად გაწვეულნი სათადარიგო ჯარის კაცნი, კარ-და-კარ დადიოდნენ, სახლის პატრონებს ფულს სთხოვდნენ, და ვინც არ აძლევდა, გალახვას ემუქრებოდნენ. 13 ოქტომბერს ხალხი სახლების დარბევას შეუდგა. ბრბო უმთავრესად სათადარიგო ჯარის კაცებისაგან შესდგებოდა. ბევრი დუქანი და კერძო სახლი დაარბია ხალხმა. ზარალი 200 ათას მანეთს აღემატება.

*** დაბა ჩაუსას ბრბო თავს დაესხა სახაზინო არყის საწყობს და ერთ კერძო დუქანს. საწყობის კარები და ფანჯრები ჩაამტვრია, დაიტაცა არაყი და ქუჩებს მოედვა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დროზედ მიიღო ზომები და დაამშვიდა ხალხი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

არგვეთის მთავართა დიდთა მოწამეთა დავით და კოსტან-ტინეს დღეს.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

ჩვენმა მწყალობელმა, ჩვენმა პატრონებმა, ჩვენმა მანუგეშებლებმა და ღვთისადმი მხურვალე მეოხებმა, მთავარ მოწამეებმა დავით და კოსტანტინემ ერთხელ კიდევ მოგვცეს, ძმანო ქრისტიანენო, ბედნიერება მათი ხსენების შესრულებისა, მათი წმ. ნაწილების თაყვანისცემისა, კიდევ შეგვასწრეს ამ წმ. კუბოს წინ წარდგომას, რომ მოვიხადოთ აქ შეღონებული გულისა და სვინდისისაგან ცოდვათა და სულიერ დანაშაულთა მძიმე ტვირთი, კიდევ ღირს გვყვეს მათ ჩვენი გონებისა და სულისათვის საღმრთო საზრდოს მოცემისა. პატივი მათ ხსენებას, მადლობა მათ სახელს, დიდება მათ კაცთმოყვარებას და ღმობიერებას! მადლობა, პატივი და თაყვანისცემა მაცხოვარსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რომელიც გვინახავს ამ საღმრთო მოწამეთა კუბოს ჩვენდა გაუქრობელ სანთლად, რომელიც ჰქმნის მოწამეთა პატიოსანი ძვლების საწყობს მათდამი მლოცველთა და მსასოებელთათვის დაუშრეტელ ნაკადულად, გამოულევნელ საუნჯედ სულიერი ნუგეშისა, მშვიდობისა, სიხარულისა, უცდომელი სწავლისა და საღმრთო მოძღვრებისა.

სარწმუნოების უშიშარი და გაბედული მოციქულები იყვნენ დავით და კოსტანტინე სიცოცხლის დროს, ხმა მაღლა ღაღადებდნენ და ასწავლიდნენ იგინი ყველას ქრისტეს სიყვარულს, შეუდრეკელი სიმტკიცით აღიარებდნენ სიტყვით და საქმით სიწმინდისა, პატიოსნებისა და მოყვასთათვის თავდადებული სიყვარულის მოძღვრებას და ღვთის კურთხევით დღესაც არ მოჰკლებიათ მათ ეს თვისებანი, დღესაც, ვითარცა ცოცხალნი, ხმა მაღლა გვმწყსიან და გვინათებენ ცხოვრების გზას. მაშ რა არის თუ არა მოციქულებრივი ქუხილი, თუ არა ბეჯითი და ხმა მაღალი საღმრთო ქადაგება, ეს ათასნაირ სენთაგან შეპყრობილთა სწრაფი და სასწაულებრივი განკურნება მოწამეთა საღმრთო საფლავის შეხების შემდეგ? მაშ რა უწოდოთ სახელად თუ არა განუწყვეტელი სწავლება სიმართლისა იმ სულიერ მოსვენებას, იმ გულით განათლებას, რომელსაც განიცდის ხოლმე თითოეული მლოცველი და მათდამი მხურვალე მსასოებელი? რითი შეიმოსეს ესოდენ მაღალი მადლი დავით და კოსტანტინემ? რა გზით, რა საშუალებით მოიპოვეს მათ ასეთი კადნიერება წინაშე ღვთისა? ამის პასუხს ვპოებთ მათ ცხოვრებაში, ამის განმარტებას იძლევა მათი საქციელი. საზარელმა და ღვთის რისხვა ბარბაროსმა მურვან ყრუმ, ძმისწულმა წაწყმედული მაჰამადისამ, დაიპყრო-რა საქართველოსთან ერთად არგვეთის სამთავროც, მოიწადინა, სხვათა შორის, ხსენებული სამთავროს გამგეთა დავით და კოსტანტინეს მიქცევა ქრისტიანობიდან მაჰმადიანთა სჯულზე. ფლიდობა პირფერობაში გამოხვეულ-ნაცადმა მტარვალმა ლაქუცით, მოფიქრებით და დაყვავებით მიმართა დავითს: «მე გადმომცეს ჩემმა სარდლებმა და წარჩინებულებმა, რომ შენ ძალიან გონიერი, შესმენილი და მიხვედრილი კაცი ხარ, ღმერთია მოწამე, შენთვის სიკეთე მსურს, შენი ბედნიერება მინდა, დაეთხოვე ქრისტიანებთა შემცდარ აზრებს, იწამე დიდებული ბიძა ჩემი მაჰამადის მოძღვრება, და მე დაგადგენ დიდი სპარსეთის უმფროსად. ხოლო შენ, კოსტანტინე, გწევ უდიდეს ბედნიერებას:—გვერდით მეჯდომები განუშორებლად სამეფო ტახტზე, იცხოვრებ ჩემ სასახლეში და კარის კაცებთან ერთად არ მოგაკლდება შვება, ლხინი და ფუფუნება»...

შეწუხდა დავითი, სასოებით გადიწერა პირჯვარი და დაუყოვნებლივ უპასუხა მურვანს: არა, ერთ წუთსაც არ იფიქრო, ბოროტო სულო, რომ ჩვენ შეგვეძლოს შენი ცბიერი ტ უმსგავსი რჩევის მიღება, ჩვენ ვართ მოსილნი ღვთის ნათელით, ჩვენ მოგვივლინა ზეციერმა მამამ მხოლოდ შობილი და თანაარსი ძე თვისი იესო ქრისტე, რომელმაც ხორცი შეისხა ჩვენისა ცხოვნებისათვის მარიამისაგან ქალწულისა და მერმე აღასრულა ყველაფერი, რაკი

საუკუნიდან დაწერილი იყო მისთვის. წინასწარმეტყველთა მიერ, ე. ი. ჯვარს ეცვა, დაიფლა და აღდგა მესამესა დღესა, ამაღლდა ზეცას მამისადმი და კვალად მომავალ არს დიდითა დიდებითა განსჯად ცხოველთა და მკვდართა. მაცხოვარმა გაგზავნა სოფლად თავისი მოწაფენი საქადაგებლად სახარებისა ᲩᲔ ორი მათგანი, სახელდობრ ანდრია დიდი პირველწოდებული და სიმონ ქანანელი, მოგვევლინა ჩვენ. ამათ ჰქადაგეს ჩვენ სამშობლოში მოსვლა ქრისტესი, მათ მოსპეს ჩვენში კერპთ მსახურება და დღეს, ნათესავი ჩვენი, ქრისტესმიერ ნათელღებული, უარს ჰყოფს, ზღაპრად სთვლის და არარად მიაჩნია ყოველი მოძღვრება, გარდა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახარებისა. სახარებისთვის მზად ვართ დავითმინოთ ცემა, წამება, ლახვარი, ცეცხლი, წყალში ჩაგდება და თვით სიკვდილიც. ესაა ჩემი სარწმუნოება და ვერა გვარი ძალა ვერ მაიძულებს მის უარის ყოფასო, დაამთავრა წმ. დავითმა.

«თანახმად ჩემი უმფროსი ძმის აღსარებისა, მეც ვაღიარებ, წარმოსთქვა კოსტანტინემ, ქრისტეს სარწმუნოების სრულ ჭეშმარიტებას, მეც ჩემ ძმასთან ერთად, მრწამს ᲩᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა და ამ სარწმუნოებისათვის, ამ აღსარებისათვის ბედნიერებად მივითვლი ტანჯვათა დათმენას და სიკვდილს».

ლახვრად მოხვდა მურვანის ყურსა და გულს ასეთი მტკიცე პასუხი წმ. ძმებისა და ამის გამო, აუწერელ ტანჯვათა შემდეგ, გადაყარა იგინი ღრმა მდინარეში. ასე აღიარეს დავით და კოსტანტინემ უფალი ღმერთი, ასე დამტკიცეს მათ საქმით თავიანთი ერთგულება და სიყვარული სარწმუნოებისა და აი ამ უშიშარმა აღსარებამ, ამ მტრის წინაშე სარწმუნოებრივი სიმტკიცის გაბედულმა გამოთქმამ აღავსო იგინი ღვთის მადლითა და ძალით, ამ საქციელმა მიანიჭა მათ პატიოსან წმ. ძვლებს სასწაულთ მოქმედება, ამან ჰყო იგინი ქრისტიანეთა დაუდუმებელ მქადაგებლად ᲩᲔ მოძღვრად, ამ მხრივ გახდნენ იგინი ქრისტიანეთათვის საყოველთაო მისაბაძ მაგალითად. ვისაც შიშისა, ხათრისა, სირცხვილისა, მოფერებისა ან სხვა რომელიმე გარემოების მიხედულობით ერიდება სარწმუნოებისათვის თავს გამოდება, სარწმუნოების დაცვა, ვინც შესაძლოდ სთვლის გაჩუმდეს, მოითმინოს, ხმა არ აიმაღლოს იმ დროს, როდესაც მის სარწმუნოებას ამცირებენ, ლანძღვენ, შეურაცხყოფენ და გმობენ, ის უარს ჰყოფს მაცხოვარსა წინაშე კაცთა, ის მკვდარია ღვთისათვის და საშინელი განსჯის დღეს მას უბრძანებს უფალი: ვიცნო საქმენი შენნი; რამეთუ არცა გრილხარ და არცა თფილი; ჯერ იყო, რათამცა გრილი იყავ, ანუ ტფილი! არამედ ესრეთ ნეტ-ფიდ ᲮᲐᲠ... მეგულვების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა (გამოცხ. 3, 15-16).

სადღა არიან ეხლა მურვან ყრუები, რომ შეგვეძლოს დავით და კოსტანტინესავით გამოჩენა მათ წინაშე ჩვენი სარწმუნოების ერთგულებისა ᲩᲔ სიყვარულისაო, იფიქრებს ვინმე თქვენგანი? მაგრამ, აბა, მიიხედეთ, რა ხდება ჩვენს გარეშემო? აბა, კარგა ჩაუკვირდით, დიდი რამ განსხვავებაა მურვანისა და ჩვენს დროს შორის? რაღაც მავნე, ძირიანად ამოგდებმა ქარმა დაჰბერა ამ ბოლო დროს ჩვენ საცოდავ ქვეყანას. ამ ბოლო დროებში ჩვენი სულიერი ცხოვრება დაავადებული შეიქნა ხოლვერის მსგავსი სენით ᲩᲔ ლამისაა მუსრი გაავლოს, ლამისაა ლეშად, დამპალ ხორცად-ღა აქციოს ერი. აგერ გაცნობეს, რომ ამა და ამ სოფელში ეკკლესია გატეხეს და სიწმინდე შეაგინესო, მეორე საათში ცნობა მოგდის, რომ აქა და აქ სახელ-განთქმული სასწაულთ მოქმედი ხატი გაიტაცეს და ტყეში გადააგდესო, მესამე ალაგს მღვდელი მოუკლავთ, იქ შეთქმულან ალარაფერი მივცეთ მღვდლებსაო, აქ მისცვივნიან უდაბნოში მყოფ ბერებს და ძალას ატანენ უარ ჰყავთ ბერობა, მოსპეთ მონასტრებიო ᲩᲔ ასე ამ გვარად თითქმის გარს შემოგვირბინოს ამ საშიშარმა ცეცხლის ალმა.

ცხადია, ძვირფასნო მსმენელნო, რომ დღესაც ბევრნი არიან ჩვენ ქვეყანაში მურვანის მსგავსნი, დღესაც დიდად მოწადინებულნი არიან იგინი დასცენ ქრისტიანობა და მოჰფინონ ხალხში თავიანთი უმსგავსი მოძღვრება. ამისთვის სწორედ ახლაა დრო სულიერად გამოფხიზლებისა, ახლა გვმართებს დიდსა და პატარას შეიარაღება თავით ფეხამდე ხალხის გამანადგურებელი, ფერფლად მქცევი ცეცხლის ჩასაქრობად, ახლა გვაქ დრო დაუმტკიცოთ დიდებულ მოწამეებს დავით და კოსტანტინეს, რომ ვაფასებთ მათ სწავლა-მოძღვრებას, მსგავსათ მათსავით თაკი შევწიროთ სარწმუნოების დაცვას, ახლა ვართ მოვალენი ვაღიაროთ წინაშე კაცთა დეენული მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, თუ გვსურს რომ მანც აღვიაროს ჩვენ წინაშე მამისა თვისასა ზეკათასა, თუ გვსურს კვლავადაც ურცხვენელად მოსვლა ამ წმ. ალაგს, თუ გვინდა რომ ღირსეულად ვატარებდეთ წმ. მოწამეთა დავით და კოსტანტინეს პატივისმცემლის სახელ-წოდებას. ამინ.

ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲘᲡᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲓᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

მიილება ხელის-მოწერა 1905 წლისათვის ოჩ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

ᲓᲐ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ᲤᲘᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ** რედაქციაში, **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის ᲬᲘᲒᲜᲘᲡ **მაღაზიაში**, ბ. შიო ქუჩაშვილთან. **ახალსენაკში**—ბლაღოჩინ **მაძა** არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები **დაეთმობათ** მთელის **წლით ორივე** გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება **დ. ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ᲑᲐᲠᲔᲛᲨᲘ მცხოვრებთ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘᲓᲐᲪ იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘᲗᲘᲗ

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲗᲗᲒᲘᲡ თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲛᲓᲔ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) აღმოჩენათა ᲓᲐ მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები. 5) სათამაშონი, გასართობი; რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) მკითხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთად ორივე გამოცემა დირს 5 მ. ცალ-ცალკე 3 მანეთი.

გამომცემელი ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐ **ᲙᲜ. ᲜᲘᲜᲝ. Ე. ᲫᲝᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

რედაქტორები { **ᲙᲜ. ᲔᲚ. Დ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ.** / **ᲜᲘᲜᲝ. ᲜᲘᲙ. ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.** }

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი. ᲬᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიდეს: **რედაქციაში, «წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.»** კანცელარიაში ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ. ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редак. журн. „Накадули“**

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲔᲚᲝᲒᲘᲚᲔᲑᲐ: 1883—1905 წ. რედაქციისაგან, რედ. გამომც. დეკ. დ. ღამბაშიძის.—სამრევლო ეკლესიების შტატების შემოკლების შესახებ, მისივე,—სოფლის სამღვდელოება და მისი ასავალ დასავალი, მღ. ნ. ბ.—წერილი საჩხერიდან, მღ. სპირ. ყიფშიძის.—საისტორიო მასალა.—ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.—ახალი ამბები ᲓᲐ შენიშვნები.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐᲡᲐ და **ᲥᲔᲗᲘᲚ-ᲨᲔᲝᲑᲐᲖᲔ:** სიტყვა, თქმული არგვეთის მთავართა დიდთა მოწამეთა დავით და კოსტანტინეს დღეს, ეპ. ლეონიდის მიერ.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. Დ. ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 27 Октября *1904 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.